

პრესრელიზი

საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი შეუერთდა

„საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ არა-აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე, საქართველოს თავდაცვისა (2004) და საგარეო საქმეთა (2005-2008)ყოფილი მინისტრი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ყოფილი უფროსი (2008-2014)გელა ბეჟუაშვილი შეუერთდა.

ბეჟუაშვილის მრავალწლიანი მენეჯერული გამოცდილება, მართვის სისტემების ცოდნა, საერთაშორისო და საქმიანი კავშირები ჰოლდინგის საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლებას შეუწყობს, მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო კავშირების გაფართოებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისათვის, თანამედროვე მართვისა და ადამიანური რესურსების სისტემების დანერგვასა და კომპანიის გრძელვადიანი ბიზნეს სტრატეგიის განვითარებისათვის.

ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი საქართველოში უმსხვილეს ჰოლდინგს წარმოადგენს და ფლობს ფართო ბიზნეს პორტფელს, რომელშიც შედის ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერჯის გამომუშავება, ბუნებრივი აირის რეალიზაცია, უძრავი ქონება და სხვა სექტორების მთელი სპექტრი.

01.01.2014

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

